

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი № 3

თარიღი: 2018 წლის 13 ნოემბერი

ადგილი: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი.

სხდომას ესწრებოდნენ:

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 7 წევრი: ხათუნა ბეჭვიაა მოქალაქე, ნინო ბულია - ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, იროსლავ გვილია - დევნილთა პოლიკლინიკის ექიმი, მურმან ნაჭყებია - „საზოგადოება ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კახაბერ ფარცვანია - ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი, მაია ჩემია - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ - სამეგრელოს რეგიონის კოორდინატორი, თეონა ხუფენია - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

არ ესწრებოდნენ:

მამუკა დაგარგულია მოქალაქე, ვაჟა ფიფია - მოქალაქე, გიორგი შელია - შპს „ნოვაცია - 2009“ დამფუძნებელი, ნათია ხუფაცარია - მოქალაქე.

დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა ქ-ნ ნანი მიქენაიამ (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე).

2019 წლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი მთლიანობაში წარმოდგენილია 34,500.0 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის:

- 22,888.2 ათასი ლარი შეადგენს დღგ-ს სახით მისაღებ შემოსავალს;
- 6,500.0 ლარი ქონების გადასახადი;
- 1,500.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი;
- 3,261.8 ათასი ლარი პროგნოზირდება სხვა შემოსავლებიდან;
- 350.0 ათასი ლარის ოდენობით მიზნობრივი ტრანსფერი მიიმართება დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

წლის განმავლობაში საჭიროებათა გათვალისწინებით მოსალოდნელია ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 15-20 მილიონი ლარის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერების თანხებით.

ქ-ნ ნანი მიქენაიას მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებად 2019 წელს კვლავ განისაზღვრა:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების სფეროს მხარდაჭერა, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

რამდენიმე სიახლე 2019 წლისათვის:

- საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, არსებითად იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათანაბრებით ტრანსფერს და საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მისაღებ შემოსავლებს ჩაანაცვლებს დღგ-ის სახით მიღებული შემოსავლის 2.42%.

ზემოაღნიშნული სქემით, დაფინანსების ახალი სისტემის შესაბამისად 2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მისაღები საპროგნოზო მაჩვენებელი დამატებითი ღირებულების გადასახადიდან საორიენტაციოდ შეადგენს 22,888.2 ათას ლარს, (რომელიც შეიძლება დაკორექტირდეს დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით) რაც 1,000.3 ათასი ლარით აღემატება მიმდინარე წელს გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადიდან მისაღებ შემოსავლებს (19,187.9 + 2,700.0=21,887.9 ათასი ლარი);

- საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშუალოვადიანი პროგნოზირებისა და საბიუჯეტო კოდექსის პროექტით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით ბიუჯეტის მოცულობა გაიზრდება არანაკლებ:

- 2,800.0 ათასი ლარით - 2020 წლისათვის;
- 4,900.0 ათასი ლარით - 2021 წლისათვის;
- 7,300.0 ათასი ლარით - 2022 წლისათვის;

- 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადაეცემული კაპიტალური გრანტი 646,5 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედაეწერის და ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის;

- უახლოეს პერიოდში დასრულდება და 2019 წლის I ნახევარში ექსპლოატაციაში გადაეცემა სრულად რეაბილიტირებული ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, რომლის რეაბილიტაციას მოხმარდება 12,0 მლნ.-მდე ლარი.

სიახლეები სოციალური და ჯანდაცვის სფეროში წარმოდგენილ იქნა ქ-ნ ნინო სხულუბიას (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი) მიერ:

- 2019 წლის პროექტით სოციალური და ჯანდაცვის სფეროში გათვალისწინებულია ახალი ქვეპროგრამა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების პედაგოგების, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებაზე მყოფი სახელოვნებო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების, აღმზრდელ-მასწავლებლებისა და ტექნიკური მუშაკების (ძიძა, მზარეული, დამლაგებელი და სხვა ტექნიკური პერსონალი) , მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრედიტებული სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.
- 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით სამედიცინო დახმარების პროგრამაში გათვალისწინებულია დაფინანსების ახალი მიმართულება: ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი. სრულად სამედიცინო დახმარების პროგრამისთვის მიმართული იქნება 800,0 ათასი ლარი;
- 2019 წელს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლეების რაოდენობა იზრდება 40-დან 50 ბავშვამდე;
- გრძელდება საქართველოს მასშტაბით ინოვაციური პროექტის დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართის მქონე ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ერთი თბილი ოთახის მოწყობას.

შემდეგი მომხსენებელი იყო ქ-ნი ზამირა ლაღუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე, რომელმაც წარადგინა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები:

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამისთვის განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარი;
- საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამისთვის - 100,0 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები დაფინანსებისთვის - 80,0 ათასი ლარით;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრადიციის დღის აღნიშვნისათვის გათვალისწინებულია - 20,5 ათასი ლარი;
- ვლადიკავშირებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის - 70,0 ათასი ლარი;

- საახალწლო და საშობაო ღონისძიებებისთვის - ქალაქის მთავარი საშობაო ნაძვის ხის საზეიმო გახსნა, გალა კონცერტი, სახალხო მსვლელობა „ალილო“- 35,0 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - 10,0 ათასი ლარი;
- მოძრავი ღია კინოთეატრი - 9,0 ათასი ლარი;
- Street-art-ის ფესტივალი - 7,5 ათასი ლარი.

სხდომის მსვლელობისას საბჭოს წევრებმა დასვეს კითხვები, თეონა ხუფენიამ დასვა საკითხი, რომ მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებასთან ერთად მიზანშეწონილია 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ერთადერთი აკრედიტებული შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესამდგომლობის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა.

გაცემული რეკომენდაციები:


- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად, არსებული საბიუჯეტო რესურსები მიმართულ იქნეს კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტების და ჯანმრთელობის და სოციალური სფეროს უპირატესი ტემპით დაფინანსებისათვის;
- მეტი საბიუჯეტო ასიგნებები იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ და განაპირა უბნებში, ახალგაზრდობისა და მოზარდების თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით, მინი სპორტული სტადიონების მშენებლობისა და ბავშვთა გასართობი მოედნების მოწყობისათვის;
- არსებული რესურსების ფარგლებში გამოიმუშოს დამატებითი საბიუჯეტო თანხები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საჯარო სკოლებისა და განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდობისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამებისთვის 2019 წელს გათვალისწინებული ასიგნებების გასაზრდელად;
- მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს, ქ. ზუგდიდში კ. გამსახურდიას ქუჩაზე დაზიანებული გზის საფარის მოასფალტების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის შესაბამისი თანხები, რომლის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ ამ ქუჩაზე მღებარეობს ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფო, ასევე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური და სერიოზულად შეფერხებულია ამ დაწესებულებებთან სატრანსპორტო კომუნიკაცია;
- უნდა იქნეს მოძიებული და მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული გარკვეული საბიუჯეტო ასიგნებანი ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩაზე სრულად ამორტიზებული გზის საფარის კაპიტალურად აღდგენა-რეაბილიტაციისათვის, სადაც უკიდურესად გართულებულია სატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეების გადაადგილება, მაშინ როდესაც ეს ქუჩა არის კომუნიკაციის საშუალება ქალაქ ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილთან ყოფილი ენგურის

ქალაქის კომბინატის ერთ-ერთი მსხვილი დასახლებისა და სოფლის ზონის რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეულისათვის;

- მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით საბიუჯეტო ასიგნება შესაძლებლობის მიხედვით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ მოიწონა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და თანახმაა ბიუჯეტი წარმოდგენილი ფორმით გადაეგზავნოს საკრებულოს განსახილველად.

ამასთან, დეტალური შენიშვნები წარმოდგენილი იქნება საკრებულოს სხდომაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში.

სხდომის მდივანი: 

ხათუნა ბეჭვია